სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხითარიშვილი

● № 12 (4571) ● 10 ოქტომბერი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა – გილოცავთ!

ნომრის სტუმარია მე-2 საჯარო სკოლა

პედკოლექტივი ძლიერია? – დირექტორიც წარმატებულია

დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა ჩვენი გაზეთის სლოგანს: „ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა: მაგრამ როგორი მასწავლებელი? ამ კითხვის პასუხია ერთი ბრძენკაცის მარადიული ფორმულა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ ნაპოლეონი ვერაფერს გახდებოდა, მამაცი მეომრები რომ არ ჰყოლოდა. ვერც გენიოსი დირექტორი გახდება რამეს სუსტი პედაგოგების ხელში.

და რაოდენ გასახარია, რომ განათლების ახალმა მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილმა** წამყვან პრიორიტეტად პედაგოგთა პროფესიული დაოსტატება, მათი მატერიალურ-მორალური სტიმულირება მიიჩნია. ერთ-ორ წელიწადში მათ ხელფასი გაუსამმაგდებათო. ჩვენც დავამატებდით საქართველოს მასწავლებელთა სურვილს: კარგი იქნება, თუ აღდგება უსამართლოდ გაუქმებული **„დამსახურებული და სახალხო მასწავლებლის“** წოდების მინიჭების ტრადიცია.

დედაქალაქის მე-2 საჯარო სკოლაში ყოველთვის მოღვაწეობდნენ ძლიერი, მაღალპროფესიონალი პედაგოგები. დღეს სკოლის ადმინისტრაცია, ახალგაზრდა, ერუდირებული დირექტორი **გალაქტიონ (გაგა) მინდიაშვილი**, მისი მოადგილე **თეონა არველაძე** ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ **მკვეთრად ამაღლდეს მასწავლებელთა პროფესიული დონე.** ამ მიმართულებით უკვე თვალსაჩინო შედეგებია მიღწეული. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით სწორედ ამ თემაზე იქნება საუბარი სკოლიდან გამოგზავნილ წერილში.

***

გამოცდილებას პლუს პრაქტიკა უდრის პროფესიონალიზმს

სწავლის დაწყების დღეს გამარჯვება მივულოცეთ იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში. სკოლამ გამოუშვა 2 ოქროს მედალოსანი **მერი ალუდაური** და **ნინო გეგეჭკორი**. მათ მოიპოვეს სახელმწიფო დაფინანსება – 100% გრანტი. **მერი ალუდაური** – სამედიცინო უნივერსიტეტის, **ნინი გეგეჭკორი** ილიაუნის სტუდენტი გახდა.

სკოლას ჰყავს ახლგაზრდა და ენერგიული დირექტორი **გალაქტიონ მინდიაშვილი,** რომელმაც არაერთი ნოვაცია განახორციელა ამ სკოლის დირექტორობის პერიოდში. წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს დირექტორის მოადგილე **თეონა არველაძემ,** სკოლის ბუღალტერმა **მარიამ ჩახვაშვილმა** და ყველა პედაგოგმა.



განსაკუთრებით თავი გამოიჩინა სპორტის, ხელოვნების და ესთეტიკის კათედრამ. „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები ხელოვნების მიმართულებით: **„მე და ხლოვნება“** და **„თეატრი სკოლაში“** – ხელმძღვანელი – **ნათია ბურდილაძე,** სპორტის მიმართულებით – **„მაგიდის ჩოგბურთი“ – გიორგი არჩაია.**

სკოლა ჩართულია ინკლუზიური განათლების ხელშწყობის პროგრამაში. წარმატებით მუშაობს 2 სპეცმასწავლებელი **ნათია ბურდილაძე** და **ეკატერინე კობახიძე.**

დაარსდა სპორტული კლუბი **„ლიდერი“** (**გიორგი არჩაია**).

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არჩევითი საგნების სწავლებას. ზედიზედ სამი წელი **ელისო ფიცხელაურის** ხელმძღვანელობით სკოლა მონაწილეობს **„ჯუნიორ ეჩივმენთ“** საქართველოს პროგრამით ორგანიზებულ სხვადასხვა პროექტში.

მუხლჩაუხრელი შრომა დაუფასდათ პრაქტიკოს პედაგოგებს. სკოლაში სასიხარულო ინფორმაცია მოვიდა: **წამყავანი მასწავლებლი** გახდა **ნანა მედულაშვილი** და **თამუნა გელენიძე,** უფროსი – 5



მასწავლებელი: ქართულისა – უხუცესი, ღვაწლმოსილი პედაგოგი – **ნინო ჩოჩელი, ხათუნა ბრეგაძე** – ქიმიისა, რომლის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს უფასო წრე, **ირმა მარგველაშვილი** – დაწყებითი საფეხურის პედაგოგი. ის გამოირჩევა შემოქმედებითი ნიჭით. **მარიამ ჩახვაშვილი** – ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის მასწავლებელი, **ინგა გიორგობიანი** – რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

„სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში სკოლაში დაიწყო პროექტი **„მე და ხელოვნება“,** სადაც მონაწილეობენ VII, VIII და IX კლასის მოსწავლეები.სკოლას ჰყავდა მოწვეული მხატვარი **თეიმურაზ თევზაძე**, რომელმაც ჩაუტარა მოსწავლეებს მასტერ-კლასი. პროექტის ხელმძღვანელია **ნათია ბურდილაძე.**

ახლახან გამართული პროგრამის **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** ფარგლებში გაიმარჯვეს და დაჯილდოვდნენ მეათეკლასელები: **სოფიო აბაზაძე, ნინო ყიფიანი, ქრისტინა როინიშვილი** და **ლუკა მინდიაშვილი.**

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ ორგანიზებულ **„მაგიდის ჩოგბურთის“** ტურნირში ავიღეთ I ადგილი. გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ სიგელით, თასით და ფასიანი ვაუჩერით. სკოლის დირექცია ულოცავს სპორტის მასწავლებელს **ირაკლი მენთეშაშვილს** ამ წარმატებას.

XI კლასელმა **მალხაზ ზავრაშვილმა** გაიმარჯვა კონფერენციაზე, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წელს მიეძღვნა. კონფერენცია თბილისის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის **რიმა ბერაძის** ინიციატივით ჩატარდა.

კომპეტენტურმა ჟიურიმ კიდევ 13 საუკეთესო ნაშრომი გამოავლინა.

მოსწავლეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ჩემპიონატ ინტელექტუალურ თამაშში **„რა? სად? როდის?“**, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა.

საქართველოს 18-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრებში. გამოიძახეს XII კლასის მოსწავლე **ლუკა ჯანაშია,** რომელმაც საატესტატო გამოცდები წარმატებით ჩააბარა.

სკოლამ მიიღო **„ეტალონის“** დასკვნით ნაწილში მონაწილეობა. საუკეთესო ათეულში მოხვდა XI კლასის მოსწავლე **ანი ზოზირაშვილი**. პროექტის ორგანიზატორია **ელისო ფიცხელაური.**



→ გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

„5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა!

ნომრის სტუმარია მე-2 საჯარო სკოლა

პირველი გვერდიდან

მეცხრე-მეთერთმეტე კლასელებმა სამოქალაქო განათლების მასწავლებელ **ელისო ფიცხელაურთან** ერთად, უკრაინის ფორუმსა და ევროპის დღესთან დაკავშირებით, „მოიარეს“ ევროკავშირის ყველა ქვეყანა,უპასუხეს კითხვებს და დაიმსახურეს საჩუქრები.

თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ პროექტ **„ინტელექტის ზეიმის“** ფინალურ ტურში, რომელიც თვითმმართველობის მიერ იყო ორგანიზებული. ფინალში გამარჯვებულ IX კლასს სკოლის დირექტორმა გადასცა გარდამავალი თასი. დირექცია დიდ მადლობას უხდის პროექტის ორგანიზატორებს **ნინი ბუიღლიშვილსა** და **გიორგი გაწერელიას.**

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს ფრენბურთში ვაჟებს შორის სპორტის პედაგოგ – **ირაკლი მენთეშაშვილის** აღსაზრდელებმა პროექტში **„არჩევანი და ახალგაზრდა ამომრჩეველი“.** მონაწილე მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და დირექტორმა, თავი გამოიჩინეს. მოსწავლეებს გადაეცათ სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დიპლომები. ორგანიზატორია სამოქალაქო განათლების პედაგოგი **ელისო ფიცხელაური.**

რბილი სათამაშოების გამოფენაზე, თავი ისახელა დაწყებითი კლასების კათედრამ. გამოფენას ესწრებოდნენ პედაგოგები **იზო ამანათიძე, ნათია ბურდილაძე,** მოსწავლეები და მათი მშობლები. ჟიურიმ ყველა მონაწილე მოსწავლე სიგელით დააჯილდოვა.

კლუბ **„ლიდერის“** ორგანიზებით სკოლაში ჩატარდა VII^ა^ და VII^ბ^ კლასებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატი. გამარჯვებული გახდა VII^ა^ კლასი ანგარიშით 3-2. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თასი.

კლუბის ხელმძღვანელია **გიორგი არჩაია.**

მიღწეული შედეგები მართლაც საამაყოა.

თეონა არველაძე,
ბორის მიშველაძე
პედაგოგიკის დოქტორი

რედაქციის მინაწერი:

მე-2 სკოლელებს ვულოცავთ მასწავლებლის დღეს და ახალ – 2018-2019 სასწავლო წელს მეტ წარმატებას ვუსურვებთ!

ორგზის გმირობა

დღევანდელ ვითარებაში იყო ბრწყინვალე პედაგოგი – „მწვრთნელი უთვალავ ყრმათა“, თანაც ოჯახის ბურჯი და გამზრდელი შვილთა მრავალთა, ხომ არის ორგზის გმირობა?

მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით თბილისის 107-ე საჯარო სკოლის ახალმა დირექტორმა, **მარინე დემეტრაშვილმა** საინტერესო მასალა მოგვაწოდა. ვაქვეყნებთ მას უცვლელად.

***

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო!..“

ტატოს ეს სიტყვები გამახსენდა ქალბატონ **ლია აღდგომელაშვილთან** შეხვედრისა და საუბრის შემდეგ. იგი **შვიდი შვილის** დედაა: – **ნინო, ნონა, ნათია, ნატო, ნანა, ანა, ია**... 107-ე სკოლის კურსდამთავრებულნი წარმატებით აგრძელებენ ძვირფას ტრადიციებს და დედის კვალზე პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს ამთავრებენ. **ია** ქიმიის საიდუმლოს ეზიარება. ყოველი მათგანი სასახელო და საამაყო შვილია ჩვენი სამშობლოსი, მათთვის დედა და სამშობლო ღმერთია.

შარშან ქალბატონი **ლია** საქართველოს პატრიარქმა დალოცა და პროექტში **„ოჯახი-მამულისთვის თავდადებულის“** სიგელით დააჯილდოვა.

ლიას მეუღლე ბატონი **ნოდარ მამუკაშვილი** მშრომელი,გვერდში მდგომი და მზრუნველი კაცია. დიდია მისი წვლილი შვილების აღზრდაში.

ქალბატონი ლია ნაზი და ფაქიზი სულის ადამიანია, წერს ლექსებს, უყვარს ბუნება. ძალიან უყვართ მოსწავლეებს ლია მასწავლებელი და პატივს სცემენ მას. მიუხედავად დატვირთული დღის განრიგისა, ლია ყოველთვის ფორმაშია, თავისი



სიკოხტავით გამოირჩევა.

გავესაუბრეთ 107-ე საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ **მარინე დემეტრაშვილს,** რომელმაც აღნიშნა, რომ ლია მოწინავე პედაგოგია, **უფროსი მასწავლებლის** წოდებას ატარებს... მოფუსფუსე, მუდამ მოსწავლეებზე მზრუნველი, სისტემატურად ზრუნავს თვითგანვითარებაზე,სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და მაღალი შედეგების მისაღწევად ენერგიას არ იშურებს.

ვულოცავთ ლიას მასწავლებლის დღეს! აღსანიშნავია ისიც, რომ სულ ახლახან მას სკოლაში მუშაობის 24 წელი შეუსრულდა. წარმატებული და განათლებული თაობები აღეზარდოს ლიას!

ნანა ნაჭყებია,
ქართულის მასწავლებელი

P. S. გაზეთ **„სახალხო განათლება+-ის“** რედაქცია ულოცავს თბილისის 107-ე საჯარო სკოლის ყველა პედაგოგს და ახალ დირექტორს მასწავლებლის დღეს, დიდ წარმატებებს უსურვებს.

ლეილა ვადაჭკორია

მასწავლებელი ვისი მეგობარია?

ბავშვების მეგობარია,
მათი ავ-კარგის გამგები,
მშობლებთან ერთად ის არის
ცხოვრების ხიდის გამდები.
პატარებს დარდს რომ უქარვებს
სითბოთი სავსე თვალებით,
თან ერთნაირად რომ უყვარს
ბეჯითიც, ონავარებიც.
მომავლის რწმენას უნერგავს
ნორჩ გულს იმედით აუვსებს,
სირთულეს დააძლევინებს
მერე ხელს ფრთხილად გაუშვებს.
ხან ანდაზებით დამოძღვრავს,
ხან კი უყვება არაკებს,
იგი ცოცხალი წიგნია
ბავშვებთან მოლაპარაკე.
ამბობს, რომ ბედნიერია
ვინც სწორად განვლო სავალი,
ათი მცნება რომ დაიცვა
აი, რა არის მთავარი.
ჩვენი ქვეყანა გიყვარდეს
ფიცსა ვდებთ მშობელ მიწაზე,
სამშობლო ერთადერთია,
ბავშვებო, დედამიწაზე.

შენ მყავხარ დასაფიცარი

უცხო სიმების კვალდაკვალ
სულ მოვიარე შორეთი,
ბევრი საამოც ვისმინე
მაინც შენამდე მოვედი.
ამ უსასრულო სივრცეში
თან მდევდი როგორც მისანი,
ცაში გაფანტულ ბგერებში
უმალ შენ ამოგიცანი.
რამდენი სიტყვა ვისმინე
სულ ახალი და ცინცხალი,
მაინც შენ დამცდი ბაგედან
შენ მყავდი დასაფიცარი.
დედის ნანადან მომყვები,
მეც დედასავით გიწამე,
დედაო ენავ, არა გყავს
ბადალი დედამიწაზე!

ახალი წიგნი

სულის სიმრდო მკითხველისთვის



ქართველებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა მართლაც საამაყოა ამ ორი ერის ისტორიაში. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართულ-ებრაული მეგობრობა იუნესკომ, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ, ჩვენი ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის დამადასტურებელია ის რეალობა, რომ ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს მუდმივი და მჭიდრო კონტაქტი აქვთ საქართველოსთან. ერთ-ერთი მათგანია სახელგანთქმული ექიმი და შესანიშნავი პოეტი **გია მოშიაშვილი.** ბატონი გია დაიბადა და გაიზარდა ქუთაისში, სამედიცინო განათლება კი, რუსეთში მიიღო. მშობლიურ ქალაქში, წლების მანძილზე პაციენტების ჯანმრთელობაზე ზრუნავდა და წარმატებული კარიერაც ჰქონდა. ამჟამად კი, ისრაელში ცხოვრობს და მოღვაწეობს. არის ფსიქოთერაპევტი წმიდა სერაფიმ საროველის სახელობის ონკოჰემატოლოგიურ ცენტრში.

„მრავალწერტილი“-ასე ეწოდება **გია მოშიაშვილის** ახალ პოეტურ კრებულს, რომელიც ქუთაისში გამოიცა და რომლის რედაქტორია ფილოლოგი **ია სულაბერიძე.** წიგნში თავმოყრილია პოეტის ბოლოდროინდელი ლექსები, რომლის თემატიკა მრავალფეროვანია. კრებულში იხილავთ პატრიოტულ, ფილოსოფიურ, ლირიკულ ლექსებს, ასევე იგავებსა და მინიატურებს. თითოეული ლექსი და პოეტის გამოძერწილი სტრიქონები ასახავს ავტორის შინაგან სამყაროს, განწყობას; წერს წუთისოფლის ამაოებაზე, ჩვენს ერებს შორის მეგობრობაზე, საქართველოზე და მისი სიყვარულის ამოუცნობ ფენომენზე... პოეტი კითხულობს:

„რა არის სული ქართული, ნეტავ ვინ ახსნის ამასა?
იქნებ ღრუბელი ფერდობზე, რომ ეფერება ვენახსა,
იქნებ ფესვები მიწა-წყლის, შერწყმული ქართულ ენასა,
იქნებ მფარველი, რომელსაც ვეძახით ქართლის დედასა,
უფალი ყოვლის შემქმნელი გვაერთიანებს ყველასა...
რა არის სული ქართული, ნეტავ ვინ ახსნის ამასა?“...

წიგნი **„მრავალწერტილი“** თავისი ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, მკითხველთა ყურადღების არეალშიც მოექცევა და პოეზიის სამყაროში თვალსაჩინო ადგილს დაიმკვიდრებს. **გია მოშიაშვილის** შრემოქმედება გამოირჩევა მხატვრული სიტყვაკაზმულობით, თვითმყოფადი ხელწერით, სადაც აირეკლება სამყაროს მისეული ხედვა, შინაგანი განწყობა, ინტელექტი და ქართული სული.

ავტორი ამბობს: „მოგზაურობა გრძელდება... ზუსტად ამიტომ ვაგრძელებ „მრავალწერტილს“ – მრავალწერტილით ასახულს მეორე კრებულში, როგორც



პირველის გაგრძელებისა“... და აქვე დასძენს „გეპატიჟეით ჩემს სუფრაზე და გამომაქვს თქვენს სამსჯავროზე ჩემი ვაზის ნაჟური, მასპინძლობა და თამადობა! მრავალჟამიერ! მოგზაურობა გრძელდება“...

წიგნი **„მრავალწერტილი“** გამოირჩევა არამარტო მხატვრული ოსტატობით, არამედ მაღალი პოლიგრაფიული დონით .იგი შესანიშნავი საჩუქარია გემოვნებიანი მკითხველისთვის და პოეზიის მოყვარულთა საზოგადოებისთვის.

მზია გოგოძე

მრავალწერტილი

ამ ცხოვრებაზე რომ დავფიქრდები,
ხან მძიმე მხვდება და ხან – წერტილი,
ხან – უპასუხო კითხვის ნიშნები,
ხან – დალოცვილი, ხან – დაწყევლილი,
ხან – სწორი ხაზი და ხან – წყვეტილი,
ჩვენი სიცოცხლის მრავალწერტილი...

ოცდაცამეტი

უფალმა ყველას თავისი
მამული, ენა მისცაო,
ჩვენ კი გვიბოძა ქართული,
ბრწყინვალე ასო-ბგერაო,
ოცდაცამეტი მხედარი,
ჩოხით მორთული ყველაო,
თავისი ქამარ-ხანჯალით,
ქილებით სავსე ფენაო,
რაოდენობრივ ტოლფასი
ნაზარეთელის წელსაო.
ვაკურთხეთ, როგორც ანბანი,
დავლოცეთ დედა ენაო,
ვადიდეთ უფლის ტაძარი,
მივიღეთ, როგორც რწმენაო...
სარწმუნოებაც ის არის,
რაცა გვწამს გულში ჩვენაო,
სიწმინდე არის მთავარი,
მასშია ყველა მცნებაო...

ზამთრის ვარდი

რა ცივია თებერვალი,
მარტსაც მისდევს მისი ვალი,
იალქნების თოვლის ქარი,
განტელების კარნავალი.
ზღაპარია თებერვალი...

ჩამივარდა გულში დარდი,
ეკლად ჩამრჩა ზამთრის ვარდი,
შემაყვარა თავის თავი
და ყვითელი ღამის თვალი.
ოცნებაა თებერვალი...

როგორ მინდა იყოს დარი,
რომ მოგართვა ალუბალი
და გამიყო ნახევარი,
ტუჩზე ტუჩით ნაფერავი.
სიზმარია თებერვალი...
ხელით მომაქვს ნაკვერცხალი,
რომ დაგინთო ცეცხლის ალი,
რომ გაგიქრო ჭირხლის კვალი,
გავაღვიძო შენში ქალი.
ავაყვავო თებერვალი...

რა ყოფილა ზამთრის ვარდი,
მიჯნურობის გავხდი ფალი,
მომერია გრნობა მალი, –
უმანკო და ლალის თვალი.
გამაისდა თებერვალი...

ბუხრის თავზე ბროლის ზარი,
სირჩის ფსკერზე ალუბალი,
საფერავში ღამის თვალი,
რჩება კერტებს სუნთქვის კვალი.
რა ტკბილია თებერვალი...

როგორ გვათრობს ეს ნაზავი,
ადი-ჩადის ცეცხლის ალი
და მის რიტმებს აყოლილი,
სიყვარულის ანი-ბანი,
შემომადნა ხელში ქალი...

კვნესის ვნებით თებერვალი...

გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს ისრაელსა!

რარიგ ბრძენი გინდა იყო, ვერ შესწვდები ჩანაფიქრსა,
სად წაგიყვანს უფლის გზები და ვის როგორ გამოსცდისა,
ვის გაანდობს საიდუმლოს თავის ნების გამოთქმისა,
ვინ იქნება არჩევანი ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა,
ვის მოარგებს თავზე გვირგვინს ზეციური წყალობისა...

ზვიად კაცსა წილად ერგოს ფარი მეფე დავითისა,
ხელში აღმართული ხმალი იყო მცველი სამართლისა,
გოლიათი, მტრად მოსული, წირვა ხდება ერთი ქვისა,
ღირსება და სიდიადე არის მრწამსი ვაჟკაცისა,
ქალის თეთრი მანდილია სიწმინდის და მშვიდობისა...

ისტორიას ახსოვს ბევრი თავგანწირვა გმირებისა,
რომელ ერთი გავიხსენო, მოსადის თუ კრწანისისა,
იერუსალიმის დაცემა თუ აღება თბილისისა,
სპად მომდგარი დამპყრობელის თუ ვაება თარეშისა,
დედის თვალი ნისლიანი, თუ დარბევა ტაძრებისა?

ვინ შესწვდება, ვინ შეიცნობს უფლის მიერ ჩანაფიქრსა,
რა ბილიკით ვის წაიყვანს და ვის როგორ გამოსცდისა,
დიდი გზა გვაქვს გამოვლილი დროს და სივრცის მანძილისა,
ერთგულება მუდამ იყო ფასი სიკვდილ-სიცოცხლისა,
ერთი აკვნის შვილები ვართ და სიწმინდის დედის რძისა...

თავის ჭკუით კაცი ბჭობს და ღმერთი ამ დროს იცინისა,
ვინ იქნება არჩევანი ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა,
ვინც მახვილით შემოიჭრა, გახდა მსხვერპლი მახვილისა,
მოგონებად იქცა ყველა, ბრედ წარსულის, არქივისა,
სიყვარულის ხიდებს აგებს, ანგრევს კედლებს ბნელეთისა...

ყოვლად წმინდა ზეციერი მფარველია ჩვენი გზისა,
მან ეს გრძნობა ჩაგვინერგა, როგორც ძალა ერთობისა,
დაგილოცავთ გვარს და ჯილაგს, წინაპართა ფუძე-ძირსა,
ვინც გადმოგვცა ეს მანდილი, როგორც მცნება ღირსებისა,
გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს ისრაელსა!

103-ე საჯარო – მოწინავეა

ერთად – დიდი მიზნის მისალწევად

ვგონებ, სტანისლავსკიმ თქვა, თეატრი საგარდერობოდან იწყებაო.

სკოლა საიდანღა იწყება? მასწავლებლიდან და ისევ მასწავლებლითვე მთავრდება. არა აქვს მნიშვნელობა, დირექტორია თუ – მოადგილე. ისინიც, უპირველესად, პედაგოგები არიან და სადაც შეგნებული აქვთ, რომ მასწავლებლობაა ყველაზე დიდი თანამდებობა,

სულიერი მდგომარეობა, როცა მრწამსი, შინაგანი ძალისხმევა გიხმობს დიდი მისიის – სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეობრივ-მორალურად მდგრადი თაობების აღზრდისაკენ, იქ ეს მისია სრულდება კიდეც.

საამისოდ პედაგოგთა მოწოდება, მონდომება, ცოდნა და გამოცდილება ისე უნდა წარიმართოს, დალაგდეს, როგორც მდინარის დელტა, ყოველი ტოტი თავის კალაპოტში რომ მიედინება, ბოლოს კი ერთიან, ძალუმ ნაკადად განაგრძობს სვლას. ანუ, ყოველი პედაგოგის ინდივიდუალური ძალისხმევა, ჯამში, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ხარისხის, ჰარმონიულ პიროვნებებად მათი ჩამოყალიბებისაკენ იყოს მიმართული.

ეს კი სათავიდან მოდის. თავში გვიჭედავდნენ, პიროვნება დიდი ვერაფრის მაქნისია, მასაა გადამწყვეტიო. თუმცა ისტორია სწორედ საწინააღმდეგოს გვასწავლის.

თბილისის 103-ე საჯარო სკოლის 62-ვე პედაგოგს სრულადა აქვს შეგრძნობილი თავისი მისია და მათი მუშაკობა მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად წარიმართოს საერთო მიზნის მისაღწევად სათანადო ხელმძღვანელობა ხორციელდება.

განათლების სისტემაში ძნელად მოიძებნება ისეთი გამოცდილი სპეციალისტი 103-ე საჯარო სკოლის დირექტორი ბატონი **არჩილ ჩხაიძე** რომ გახლავთ, ამაში მხოლოდ პედაგოგობის სტაჟი – 40 წელი როდი იგულისხმება. უპირველესად, მისი შინაგანი მრწამსი, ცხოვრებისეული კრედო, სიახლეების მუდმივი ძიება, პასუხისმგებლობის ძირეულად გასიგრძეგანება და კოლეგიალობა, ბავშვების დიდი სი-

ყვარული იგულისხმება.1978 წლიდან მოყოლებული, როცა ბათუმის პედაგოგიკის ინსტიტუტი დაამთავრა მათემატიკის სპეციალობით და ფიზიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ოზურგეთის რაიონის სოფელ მთისძირის სკოლაში, ყველა საფეხური გაიარა. 1982 წელს უკვე ჯუმათის საშუალო სკოლის დირექტორია. მაშინ ასე ახალგაზრდებს სკოლებს არ ანდობდნენ. რაოდენ გამორჩეული უნდა ყოფილიყო ბატონი არჩილი, რომ ასე სწრაფად ასეთ პასუხსაგებ თანამდებობაზე დაენიშნათ? მას შემდეგ მრავალი სკოლის დირექტორად უმუშავია და მისი ხელმძღვანელობით ყოველი სკოლა მუდამ მოწინავე იყო.

მოწინავეა 103-ე საჯარო სკოლაც. ცხადია, ამ სასწავლო დაწესებულების თვალსაჩინო წარმატებებში ყოველი პედაგოგის, თითოეული მუშაკის ღვაწლია. სკოლის გამოცდილება პრესასა და ტელევიზიაში განზოგადებულა. საამისოდ დანიის უმაღლესი საფეხურის ექსპერტ-მასწავლებლებიც სწვევიან და იგი ეროვნული გამოცდების ცენტრიცაა. ისან-სამგორის რაიონის 160 წარჩინებული მოსწავლის დასაჯილდოებლადაც – ჩემი პირველი კომპიუტერი – სწორედ ეს სკოლა შეირჩა.

სკოლაში ორი სექტორია: ქართული და სომხური. ქართულზე – სომეხი, რუსი, ეზიდი, აზერბაიჯანელი, ქურთი, უკრაინელი ყმაწვილებიც სწავლობენ; სომხურზე – ებრაელი და ქურთებიც. სომხეთის ელჩმა **რუბენ სადოიანმა** პედაგოგ **ლუიზა მურადიანს** ჯილდო – „მშობლიური ენის ელჩი“ გადასცა. სკოლას სტუმრობდა სომხეთის განათლებისა და სპორტის მინისტრი **არაიკ არუთინიანი**.

შარშან შემოიღეს, წლეულს კი გააფართოებენ სიახლეს: ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კლასების დამრიგებლები წარსდგებიან ანგარიშით სკოლის ,მშობლების წინაშე. გასულ სასწავლო წელს I-II კლასების ხელმძღვანელები წარსდგნენ ასეთი ანგარიშებით. შემაჯამებელ ანგარიშს კი დირექტორი წარადგენს. სკოლაში კოლეგიალობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთდახმარების გარემოა. ასეთი ანგარიშები კი კიდევ უფრო ამაღლებს პედაგოგთა პასუხისმგებლობას.

ნათქვამია, ყოველი სიახლე კარგად დავიწყებული ძველიაო. საბჭოთა პერიოდში წარჩინებული მოსწავლეების მშობლებს სკოლები სამსახურებში უგზავნიდნენ სამადლობელ წერილებს. 103-ე სკოლამ ეს დიდებული წესი, ფაქტობრივად, თავიდან დანერგა. მოწინავე ყმაწვილების მშობლებს საზეიმო ვითარებაშიც გადასცემენ სამადლობლებს და სამსახურებსაც, (ცხადია, თუ მუშაობენ) ატყობინებენ. ღირს კი თქმა, ეს რაოდენ საამაყოა მშობლებისათვის და სტიმული მოსწავლეებისთვის?

პედაგოგთა პასუხისმგებლობის თვალსაჩინო მაგალითი: ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ყოვლად გამორჩეულ ყმაწვილს წლის **საუკეთესო მოსწავლის** წოდება ენიჭება.

გასულ სასწავლო წელს კი ტიტული არავისთვის მიუნიჭებიათ, რაც ადასტურებს, რაოდენ თვითკრიტიკულია კოლექტივი თავის საქმიანობის მიმართ. შარშანწინ კი ეს წოდება **მარიამ ნაცვლიშვილს** მიენიჭა და სიგღელი რაიონის დეპუტატმა **დავით ჭიჭინაძემ** გადასცა.

მოსწავლეთა ჰარმონიულად აღსაზრდელად 13 სექცია და წრე მუშაობს, სადაც 400 აღსაზრდელია გაერთიანებული. სამოქალაქო განათლების კლუბმა **„ჩეინჯერებმა“** საქველმოქმედო აქციაც გამართა და თანხა მთლიანად მიუსაფართა სახლს ჩაურიცხა.

მოქმედებს **„ლიტერატურული სალონი“.** ერთ-ერთი ღონისძიება – **„მე მოგიყვებით აფხაზეთზე“** – ლიტერატურული თეატრის სცენაზე გაიმართა და მაყურებელთა მხურვალე მოწონება დაიმსახურა.

სკოლის წარმატებების, ყოველწლიური წინსვლის უტყუარი დასტური! ბოლო სამ წელიწადში მოსწავლეთა რიცხვი 534-დან – 900-მდე გაიზარდა. გაისად, სავარაუდოდ, 2 ცვლაში მოუწევთ მუშაობა. ანუ მშობლები ენდობიან სკოლას. თვალნათლივ რწმუნდებიან, რომ იქ მათს შვილებს უსაფრთხო გარემოსთან ერთად, სწავლისა და აღზრდის დიდებული პირობები აქვთ, რომ 103-ე სკოლის პედაგოგების მთელი ძალისხმევა აღსაზრდელთა საკეთილდღეოდაა მიმართული: **მოსწავლე – უპირველეს ყოვლისა!**

კადრები ერთმანეთს ცვლის: სკოლის ინტერიერი და ექსტერიერი, ზღაპრულად მორთულ-მოვლილი ეზო (ამიტომაც გაიმარჯვა 103-ე სკოლამ ეზოგარემოს მოვლის რესპუბლიკურ კონკურსში); თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გამართული კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები, ფართო, ნათელი დერეფნები, სპორტული და საალქიო დარბაზები, ჰიგიენური გარემო.

სკოლამ ეს სიახლეც დანერგა: ეს ვიდეო ფეისბუქზე დადო შემთხვევით, **„ვისწავლიდი თუ არა 103-ე სკოლაში?“**

13 ათასმა ნახა ეს ვიდეო. 200-ზე მეტი აღტაცებული გამოხმაურება და კომენტარიც „მოიმკეს...“

წლეულს სკოლის 4 პირველი კლასი – 108 მოსწავლე შეემატა (მსურველი გაცილებით მეტი იყო). ამ პატარებსაც სკოლის ცხოვრების ძალზე საინტერესო, სიახლეებით აღსავსე წლები ელით. ამის მტკიცე გარანტი 103-ე სკოლის მთელი კოლექტივის თავდაუზოგავი შრომაა, რის მცირე, მაგრამ წყალგაუვალ ფაქტებზე ამ წერილმა მოგითხროთ.

103-ე სკოლელებს ვუსურვებთ მასწავლებლის დღეს და ვუსურვებთ კვლავაც ასეთი შემართებით ევლოთ მომავალი თაობის აღზრდის რთულ, სათუთ და ესოდენ საპატიო გზაზე!

კონსტანტინე გურგენიძე

კარგად და უკეთესად

გასიგრძეგანებული აქვთ დიდი მისია

პირველი შთაბეჭდილება თუ მართლა უტყუარია, მაშინ თბილისის მე-60 სკოლის დირექტორთან ბატონ **შოთა მალაზონიასთან** შეხვედრის შემდეგ ერთადერთი მართებული დასკვნა ესაა – **ადამიანი თავის ადგილზე.**

მან 1983 წელს წითელი დიპლომით დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილება. მუყაით სწავლას შრომას უთავსებდა – საავიაციო ქარხანაში მუშაობდა ჯერ – მუშად, შემდეგ – ცვლის უფროსად. თან, აღმზრდელიც გახლდათ ახალგაზრდათა საერთო საცხოვრებელში. დახეთ, ერთდროულად რამდენ საქმეს, თან როგორი წარმატებით იყო შეჭიდებული ყმაწვილი კაცი.

უმაღლესის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა 124-ე საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. შემდეგ – 61-ე სკოლა, 1988 წელს კი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზ-

რდა სპეციალისტი, 62-ე სკოლის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. 16 წელი დაჰყო აქ. პირველი ექვსი წელიწადი – მოადგილედ, მომდევნო ათი – დირექტორად. ამას 147-ე სკოლის დირექტორობა მოჰყვა, ხოლო 2014 წლიდან (აირჩიეს) მე-60 სკოლის დირექტორია. დიახ, დირექტორია, მაგრამ, უპირველესად, პედაგოგია. პედაგოგია მრწამსით, მთელი შინაგანი არსით. სკოლის ყველა საფეხურის გამვლელმა სპეციალისტმა ძირისძირობამდე იცის სკოლა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესს ნიუანსურად ფლობს, რაც ასე აუცილებელია ხელმძღვანელისთვის. იგი ძალზე აფასებს მოადგილეების: ქალბატონების – **ნინო ლომთათიძისა** და **ნანა ჩოხელის** ნიჭს, ცოდნას, გამოცდილებასა და ორგანიზატორულ უნარს.

დირექცია არა „კაპიტნის ხიდურიდან“ ხელმძღვანელობს სკოლას: კოლეგიალობა, ურთიერთპატივისცემა, დახმარება; აქტუალურ საკითხებზე ერთობლივად მსჯელობა, პრობლემის გადაჭრის გზებისა და საშუალებების ასევე ერთობლივად ძებნა და გამონახვა...

გამართულად, მიზანმიმართულად მუშაობს შვიდივე საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის (თავმჯდომარე – **თამარ ყაჭეიშვილი**); მათემატიკისა და ისტ-ის (**მანანა ქარდავა**); უცხო ენების (**ირმა ყიფიანი**); საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (**ქეთევან ლომაძე**); საზოგადოებრივი მეცნიერების (**ქეთევან კერესელიძე**); ესთეტიკისა და სპორტის (**თამარ მაისურაძე**); დაწყებითი კლასების (**ხათუნა წამალაშვილი**).

გამოსაშვები გამოცდები წარმატებით ჩააბარა 61-მა მოსწავლემ. ყველა სტუდენტი გახდა. სკოლა აქტიურად და წარმატებით მონაწილეობდა განათლების სამინისტროსა და სხვა ორგანიზაცია-უწყებების კონკურსებსა და პროექტებში. „თავისუფალ გაკვეთილებში“ ოთხი პროექტი წარადგინა და საკონკურსო კომისიამ ოთხივე პროექტი დააფინანსა. ასევე წარმატებული იყო სკოლა „მეცნიერებისა და ინოვაციების“ ფესტივალში. გაიმარჯვა ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზების პროექტში. მას სპორტის პედაგოგი **დიანა მანგოშვილი** ხელმძღვანელობდა და პროექტი ძველქართულ თამაშებს ითვალისწინებდა. ეროვნული ბიბლიოთეკის ეგიდით გამართულ სკოლების თეატრების კონკურსში სკოლის თოჯინების თეატრმა, ბავშვების მიერ დამზადებული თოჯინებით (ინკლუზიური ბავშვების მიერ დამზადებულებითაც), სპეციალური პრიზი მოიპოვა ხელოვნების მასწავლებლის **ეთერ ქუთათელაძის** ხელმძღვანელობით, ხოლო მასწავლებლებზე დაწერილი მოთხრობების კონკურსში, მისი მოთხრობა **„მარი მასწავლებელი“** პირველ ათეულში მოხვდა.

მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიურობით ჩამოყალიბდა და ასევე აქტიურად, შემოქმედებიდათ მუშაობს ჟურნალისტიკის, გამოყენებითი ხელოვნების, ინტელექტუალების, სპორტული კლუბები და კულტ-მასობრივ ღონისძიებათა სექტორი.

სკოლაში სპეციალური განათლების საჭიროების 35 ბავშვი სწავლობს. მათ უკვე ოთხი სპეცპედაგოგი და ფსიქოლოგი ემსახურება. სექტემბერშივე შემუშავდა და დამტკიცდა მათთან სამუშაო ინდივიდუალური გეგმა. ასეთ ბავშვებთან მუშაობაში სკოლის გამოცდილების გასაზიარებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან პედაგოგები.

სკოლამ ეს სასწავლო წელიც ჩვეული შემართებით დაიწყო. პედაგოგებმა კარგად უწყიან ეროვნული სასწავლო გეგმისა, მოთხოვნები და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს მის შესატყვისად წარმართავენ.

მშობლებსაც გააცნეს გეგმის ძირითადი ასპექტები, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა შეფასების სისტემა... დამრიგებლები მშობლებს სისტემატურად აცნობენ შვილების სწავლის ხარისხსა და დისციპლინას.

800 ყმაწვილზე გათვლილ სკოლაში 1145 მოსწავლე ჰყავთ. ბოლო წლებში 5 პირველი კლასი ჰყავთ, რაც სკოლის პოპულარობის დასტურია.

დირექციას, 66-ვე პედაგოგს, რომელთაგან – ორი წამყვანი, 26 კი – უფროსი მასწავლებელია, გასიგრძეგანებული აქვთ დაკისრებული დიდი მისია – სამშობლოსათვის გონებრივად და ფიზიკურად ჯანსაღი, ჰარმონიულად განვითარებული თაობების აღზრდა და თავდაუზოგავად იღვწიან ამ მიზნის მისაღწევად.

მარიამ ხატიაშვილი

მიღწეულს არ დაჯერდებიან

ერთადერთი მენტორი დირექტორი და მისი წარმატებული სკოლა



რატომღაც ვერიდებით ხოლმე ამა თუ იმ პიროვნებაზე წერას. ამის თავი და თავი მიზეზი ალბათ ისაა, რომ წლების მანძილზე იკნინებოდა, ითრგუნებოდა ინდივიდუალობა; ცრუ, მოჩვენებითი თავმდაბლობა იყო გამეფებული და ამ საფარქვეშ კრახჭინდებოდა და კვარახჭინდება ბნელი საქმეები.

არადა, დაიმსახურა ადამიანმა? თავის ასპარეზზე გამორჩეულად იღვაწა? სამშობლოს აღმშენებლობას შემატა აგური? გამოარჩიე, დააფასე.

ასეთი პიროვნებები მით უფრო წარმოსაჩენია განათლების სისტემაში. სწორედ ეს სისტემა გახლავთ ჩვენი აწმყოსა და მომავლის მესაძირკვლე. ამიტომ უნდა მოვეფეროთ, ობიექტურად აღვნიშნოთ ამ დარგის თითოეული თავდადებული მუშაკი.

ერთ ასეთ პიროვნებაზე მოგითხრობთ ამ მომცრო წერილში – თბილისის 89-ე საჯარო სკოლის დირექტორზე, ქალბატონ **მიმოზა ტყებუჩავაზე.**

უცნაურია გზანი განგებისანი: გატარებს, გატარებს და მაინც იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც ხარ მოწოდებული. ხან ამისათვის ერთგვარი ბიძგია საჭირო. ქალბატონ მიმოზასათვის ასეთი „ბიძგი“ დაოჯახება და დედობა გახლდათ: მშობლობამ უფრო მძაფრად განაცდევინა განათლების დარგში დაგროვილი პრობლემები და მტკიცედ გადაწყვიტა, ცოდნა და გამოცდილება მომავალი თაობების აღზრდისთვის მიეძღვნა.

ცოდნა და გამოცდილება კი, გაგიხარიათ, ჰქონდა: 1997 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. შემდეგ – მაგისტრატურა და ასპირანტურა. დისერტაცია 2009 წელს დაიცვა. არის ალბათობის თეორიაზე პირველი სასკოლო დამხმარე სახელმძღვანელოს თანაავტორი. 2011 წლიდან უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მიწვეული პროფესორია. 2001 წლიდან მასწავლებელთა ტრენერია სხვადასხვა პროექტში.

ამ მშრალი ჩამონათვალის მიღმა მეცნიერისა და მკვლევარის თავდადებული შრომა დგას. შრომა და ნიჭი, რაც ასეთი მიღწევების საფუძველია.

გამორჩეულად სათქმელი: **ქალბატონი მიმოზა საქართველოში ერთადერთი მენტორი დირექტორია.** მენტორობის მისანიჭებლად მთელი 5-წლიანი პროექტ-პროგრამების, აქტივობების დაძლევაა საჭირო. **ქალბატონმა მიმოზამ კი ეს 2 წელიწადში შეძლო.** მეტი შრომა და ნიჭი ძნელი წარმოსადგენია. ისიც დავურთოთ, რომ საქართველოში სულ 19 მენტორია.

89-ე სკოლას 2015 წლიდან უდგას სათავეში. მისი კრედო კოლეგიალურობაა. პატივს მიაგებს, ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგებს ნაყოფიერ, შემოქმედებით მუშაობაში. ერთობლივად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა; იმართება სამუშაო შეხვედრები საჭირო თემებზე; კვლევები პედაგოგიკის საკითხებზე, სკოლის საჭიროებებზე. კიდევ ექვსმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი:

2 – წამყვანი, 4 – უფროსი მასწავლებელი გახდა.

წამყვანნი: **მაია ადეიშვილი** (ქართული ენა და ლიტერატურა); **ნანა სოლოღაშვილი** (ისტორია); უფროსნი: **თამარ ფიროსმანაშვილი, ნანა ივანაური** (მათემატიკა), **ელზა ნინოშვილი** (ქიმია), **ასმათ მოდებაძე** (დაწყებითი). დირექტორის რწმუნებით, გაისად გაცილებით მეტი პედაგოგი აიმაღლებს სტატუსს. ამის თქმის საფუძველს კი მას კოლექტივთან ერთად ყოველდღიურად წარმართული განუხრელი მიზანმიმართული, შემოქმედებითი შრომა აძლევს, რისი თვალსაჩინო შედეგიც წარმატებული ეროვნული გამოცდები და შეგირდთა სიუხვეა: შარშან 3 პარალელური პირველი კლასი ჰყავდათ; წლეულს – ექვსია. 700 მოსწავლეზე გათვლილ სკოლაში 960 აღსაზრდელი ჰყავთ, რაც სკოლის პოპულარობის უტყუარი დასტურია.

აღზრდის მთლიანი ჯაჭვია: ოჯახი – ბაგა-ბაღი – სკოლა. ამიტომ მშობლებთან ურთიერთობა, გამჭირვალობა 89-ე სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის ცხოვრებაში. მეტიც – შვილებთან ერთად მონაწილეობენ მრავალ ღონისძიებაში, რაც უფრო აახლოებს მშობლებს შვილებთან, საერთო ინტერესებს უჩენს მათ. ტრაფარეტული კრებები სკოლისთვის უცხოა. მშობლებთან ერთად მსჯელობენ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, მათი შვილების ყოფაქცევაზე. ეძიებენ და ჰპოვებენ კონკრეტული სირთულეების გადაჭრის კონკრეტულსავე გზებსა და საშუალებებს.

მცირე წერილში, ცხადია, შეუძლებელია სკოლის მუშაობის სრულად წარმოჩენა, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია, რომ ვირწმუნოთ: 89-ე საჯარო სკოლას ღირსეული დირექტორი, ღირსეული პედაგოგები ჰყავს და ისინი მიღწეულით არ დაკმაყოფილდებიან.

აგერ, მათი პროფესიონალური დღესასწაული აღინიშნა – მასწავლებელთა დღე. კაცმა რომ თქვას, ყოველი დღე მასწავლებლისა უნდა იყოს – ყოველდღიურად ვესათუთებოდეთ, ვაფასებდეთ მათს შრომას. ჩვენი რედაქციაც ულოცავს 89-ე სკოლის მთელ კოლექტივს ამ დღეს.

კოტე სარალიძე

118-ე საჯარო მოწვინავეა

კარგი განწყობა და მაღალი შედეგები

განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლეთა ძალები რომ განვავითაროთ ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს

პრინციპებს, რომლებსაც სწავლა-სწავლების პროცესი უნდა დაეყრდნოს. ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებაზე, ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე, საგანმანათლებლო პროცესის სწორ შედეგამდე წარმართვასა თუ სხვა სავალდებულო მოთხოვნების შესრულებაზე თავდაუზოგავად შრომობს თბილისის 118-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი. ეს არის ყველაზე ძველი სკოლა ავჭალაში, რომელიც 1964 წელს აშენდა და ამავე დროს, ყველაზე დიდი კონტინგენტით - 1200 მოსწავლე. დირექტორი **გიული შენგელია** სერთიფიცირებული ქიმიკოსია, 28 წელია ამ სკოლაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, 2014 წლიდან კი სამეურვეო საბჭოს არჩეული დირექტორია.

ყოველდღიური შემოქმედებითი შრომის შედეგი სახეზეა, სკოლას ჰყავს წამყვანი - **თამარ თაბუაშვილი**, **პაპუნა კაციტაძე** და უფროსი პედაგოგები: **ლალი აბუაშვილი, თამარ ბაშარული, ნანა ბუტიკაშვილი, ნატო გაზდელიანი, მარინე ქემოკლიძე, ნათელა ქეშელაშვილი, ქეთევან ჯავახია, ნინო ბერიტაშვილი, გიული ძირტკბილაშვილი, ხათუნა ბერძენიშვილი, თეა გელაშვილი, ხათუნა გოგელიძე, ლია ჭეხაშვილი, ეთერ გუდაძე, გიული შენგელია, ნატალია ათენაშვილი-სოფრომაძე, ნათია ბუჯიაშვილი, მაკა გუნცაძე, მაია ვერძეული, ლალი პავლიაშვილი, ლელა ხიტალიშვილი, თამილა კირთაძე, ლონდა ლავრინენკო, თამარ მხეიძე, სოფიო პაპკიაური, მაია მოდრეკილაძე, თამარ მურველაშვილი, ნუნუ მჭედლიშვილი, ლელა ტაბატაძე, მაკა გვრიტიშვილი, ქეთევან გოგინაშვილი, ლერა დავითლიძე, ეკატერინე დორეული, ნაირა ვერძაძე, ნინო სუხიშვილი, მაიკო ჩქარეული, თამილა ცქიფურიშვილი.**

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, სადაც გაწერილია სამუშაო გეგმა და ახორციელებენ პროექტებს: ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი **თამარ თაბუაშვილი**), მათემატიკის (**თამარ მხეიძე**), საზოგადოებრივი მეცნიერებების (**ლელა ხიტალიშვილი**), საბუნებისმეტყველო (**მაია მოდრეკილაძე**), უცხო ენების (**მაკა გუნცაძე**), დაწყებითი (**ირმა აბულაშვილი**), სპორტისა და ესთეტიკის (**ხათუნა ცხვედაძე**).

ყველა გამოწვევისადმი მზაობა აქვთ ფასილიტატორებს: **ლონდა ლავრინენკოს** (დაწყებითი კლასები), **მაია ვერძეულს** (საზოგადოებრივი მეცნიერებები), **ნანა ბუტიკაშვილს** (ქართული), **ხათუნა გოგელიძეს** (უცხო ენა), **სოფიო პაპკიაურს** (მათემატიკა).

სკოლის მართვისა და წარმატებისათვის მუხლჩაუხრელად შრომობს მთელი კოლექტივი. მკაცრი, მომთხოვნი და სამართლიანი – ასე ახასიათებს ქალბატონი გიული დირექტორის მოადგილე **გიული ძირტკბილაშვილს.** კომპიუტერულ ბაზებს აკონტროლებს და ტექნიკური-დახმარებას ახორციელებს ისტ მენეჯერი **თამილა კირთაძე.** დაწყებითი კლასების კოორდინატორია თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტი **ელისო ღამბაშიძე.**

გასული სასწავლო წელი წარმატებით დაასრულეს. ამის დასტური 8 წარჩინებული მეცხრეკლასელია, რომლებიც **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** ბენფიციარები არიან: **თეკლა დალაქიშვილი, საბა ბეკურაშვილი, ქეთი აბესაძე, თორნიკე თამარაშვილი, გიორგი ბურდული, ხათუნა გოგელიძე, ეთერ გუდაძე, ოლიმპიური ჩემპიონების შესახებ, ჰქონდათ შეხვედრები, წარმოადგინეს სლაიდ-შოუები.**

ციცინა ჯღარკავა.

სკოლაში ყოველ ზაფხულს ტარდება სარემონტო სამუშაოები, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს. მომავალი სასწავლო წლისთვის კი პირველ რიგში **ბიბლიოთეკის** (ბიბლიოთეკარი **ლალი ამირეჯიბი**) განახლება-გარემონტება იგეგმება. გულდასაწყვეტია, რომ სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი, რომლის მიშენების პერსპექტივაც, ჯერ-ჯერობით, არ განიხილება. იჯარით გაცემულ ფართზე, ცეკვის დარბაზში, ფუნქციონირებს ხალხური სიმღერის წრე (**ხათუნა ცხვედაძე**) და ცეკვის წრე (ქორეოგრაფები **დალი ქოჩიშვილი** და **გია თამაზაშვილი**).

შესანიშნავ და ერთ ოჯახად შეკრულ პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად, დირექტორს მხარში უდგანან მანდატურები: **ლამზირა ბუავა, ლიკა გელენიძე** და **დავით ხარაიშვილი.**

გიული შენგელია: „ჩემს კოლექტივს შევპირდი, რომ შევქმნიდი კარგ განწყობას, როცა სკოლაში შესვლა ყველას უხარია - მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს. და ეს არის საფუძველი მიზნისა

- აკადემიური შედეგის ამაღლება და დისციპლინის კიდევ უფრო გაუმჯობესება“.

ნათია გურგენიძე

გუდაძის 22 მეთორმეტეკლასელიდან კი 21 სტუდენტი გახდა.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ **„ევერესტის“, „კინგსისა“** და სხვა პროგრამებში. შექმნილია **სპორტული კლუბი** (ხელმძღვანელი - სპორტის პედაგოგი **ფატი წიკლაური**), საც სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს **„თავისუფალი გაკვეთილები“** ჩვენი ოლიმპიური

სისტემატურად მუშაობენ 15 სსსმ მოსწავლესთან და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საქმეს ფსიქოლოგი **ქეთი მამუჩაშვილი,** სპეც.პედაგოგები – **ია ორჯონიკიძე** და

ნებისმიერი გამოწვევისთვის არიან მზად

პირნათლად შეასრულებს მოვალეობას

თითქოსდა რა მარტივია – პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, მაგრამ ისეთი დრო გაგვიმეფეს, უვიცთა, დილეტანტთა პარპაშია. ჰოდა, მით უფრო უნდა დავინახოთ, დავაფასოთ ყოველი პროფესიონალი.

მცოდნე, საქმეზე შეყვარებული და საქმისთვის მოწოდებული კადრები საზოგადოებრიობის, ერთდროულად, უმნიშვნელოვანესსა და მოწყვლად დარგში – განათლების სფეროშია განსაკუთრებულად გამოსარჩევი და დასაფასებელი. ღირსი პატივი უნდა მივაგოთ იმათ, ვინც ქვეყანას თაობებს უზრდის.

ერთ-ერთი ასეთი პროფესიონალთაგანი, ცხოვრების მიზნად რომ ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღი, მცოდნე ყმაწვილების აღზრდა დაუნახავს, თბილისის 22-ე სკოლის დირექტორი, ქალბატონი **რუსუდან ზედაშიძეა.**

გაგიხარიათ, მონდომება კარგია, მაგრამ სურვილს, მცდელობას შეძლება უნდა უმაგრებდეს ზურგს.

ასეა? აქვს ქალბატონ რუსუდანს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რაც მის მისწრაფებას განახორციელებს?

დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ფიზიკისა (1982 წ.) და მათემატიკის ფაკულტეტები (1989 წ.); მაგისტრატურა – კიბერნეტიკა და გამოყენებითი მათემატიკა. მუშაობა 1982 წლიდანვე დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილებაში, ანუ სწავლას მუშაობას უთანხმებდა,

რაც დროის, ენერგიის გონივრულად განაწილების დასტურია. ეს თვისებები კი განათლების სისტემაშიც ერთობ ფასეულია.

178-ე, 179-ე, 56-ე სკოლებში გაიარა საფეხურები მასწავლებლიდან – დირექტორამდე. 2014 წლიდან 22-ე სკოლის დირექტორია, ამიტომ ზედმიწევნით იცის სკოლა, უგებს და აფასებს კოლეგებს; ჩინებული ორგანიზატორი და შემსრულებელიცაა.

სკოლა რომ უთუოდ წარმატებულია, ამის უტყუარი დასტური ესეცაა: გამოსაშვებ გამოცდებში 107-ვე კურსდამთავრებულმა 100 %-იანი გრანტები მოიპოვა; 7 – ოქროსა და 2 ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ.

ცხადია, სკოლის მიღწევები მთლიანად პედკოლექტივის დამსახურებაა, რომლის 66-ვე წევრს გასიგრძეგანებული აქვს დაკისრებული დიდი მისია, მათგან – 36 უფროსი მასწავლებელია; **ნესტან კუპრავა** (დაწყებითები) კი წამყვანი მასწავლებელი გახდა. იგი „დედაენის“ მოქმედი სახელმძღვანელოს თანაავტორიცაა.

სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, სკოლის ძალისხმევის მარგი ქმედების კოეფიციენტი გაწეული შრომის ტოლფასი ვერ იქნებოდა. კომპიუტერული კლასები და კომპიუტერებით აღჭურვილი საკლასო ოთახები; თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გამართული ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტები, სპორტული და საკონფერენციო და სააქტო დარბაზები, ეთიკისა და სალონური ოთახები, სადაც სხვადასხვა ძალზე საინტერესო ღონისძიება იმართება. მდიდარი ბიბლიოთეკა (12 ათასი წიგნი) მრავალი მკითხველითა და ბიბლიოთეკის სასწავლო პროცესში ჩართულობით ის ქვაკუთხედია, რაზეც იგება დირექციის, პედკოლექტივის საქმიანობა.

ამ სასწავლო წელსაც, ტრადიციისამებრ, სკოლა მთლიანად მომზადებული შეხვდა: გასარემონტებელი გარემონტდა, ახალი მერხები და დაფები შემოიტანეს, დაწყებით კლასებში ფიზიკური კულტურის 2 საათს – ერთი დაემატა და მეორე სპორტული დარბაზი გამართეს, III-IV კლასებში ახალი საგანი – **„მე და საზოგადოება“** შემოიღეს და პედაგოგები სათანადოდ მომზადებულნი დახვდნენ ამას; განათლების სამინისტროს ინიციატივას სკოლებში უსაფრთხო გარემოს გაუმჯობესებაზე საამისოდ უკვე არსებულ პირობებს, მანდატურის სამსახურთან ერთად, 16-ს კიდევ 16 ვიდეოთვალი დაამატა; ინტეგრირებული კლასი გაიხსნა ატავისტური სპექტრის 8 ბავშვისთვის. მათ 1 ფსიქოლოგი, 3 სპეცსაგნის მასწავლებელი და 1 საგნის მასწავლებელი ემსახურებათ. სპეციალური განათლების საჭიროების კიდევ 10 ყმაწვილს ფსიქოლოგი და სპეცსაგნის პედაგოგი „მეურვეობს“.

22-ე სკოლის თითქმის თეზისურად ჩამოწერილი წარმატებები და სიახლეთა სწრაფად და ხარისხიანად დანერგვის უნარი თამამად ათქმევინებს ქალბატონ რუსუდანს, რომ სკოლა ნებისმიერი გამოწვევისთვისაა მზად და პირნათლად შეასრულებს მოვალეობას.

ეკატერინე ოდიშელიძე

„ოლიმპია“ ლიდერია

წარმატებული სასწავლო ცენტრი

სასწავლო ცენტრი **„ოლიმპია“** ერთ-ერთი ის დაწესებულებაა, სადაც მოსწავლეები ხარისხიან და საფუძვლიან განათლებას იღებენ და მშობლებიც კმაყოფილები არიან. თბილისში, შპს „ოლიმპია“ 2015 წლიდან არსებობს და მისი დამფუძნებელია მათემატიკოსი **ლევან გიგიტაშვილი.** ბატონი ლევანი გამოირჩევა საქმისადმი თავდადებით, პროფესიონალიზმით და კარგი მენეჯერული თვისებებით.

ლევან გიგიტაშვილი: სასწავლო ცენტრის მიზანია მოსწავლეთა ცოდნის ამაღლება და მზაობა ეროვნული და საატესტატო გამოცდებისათვის. ცენტრში მოსწავლეები მოდიან 9-10 წლის ასაკიდან. მოზარდებს ვამზადებთ ყველა საგანში, ძირითადად კი: **ქართულიენასა** და **ლიტერატურაში, უცხო ენაში, გეოგრაფიაში, მათემატიკაში, ფიზიკა-ქიმიაში, სამოქალაქო განათლებაში.** „ოლიმპია“-ში, ყოველ სასწავლო წელს, დაახლოებით 100-120 მოსწავლე ემზადება. კურსდამთავრებულთა უმეტესობა, უმაღლესი სასწვლებლების სტუდენტები არიან. დაახლოებით 50 აბიტურიენტია, 40 საატესტატო გამოცდებისთვის ემზადება. მაგალითად, წელს 50-დან 49 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა. სასწავლო ცენტრში, ზოგიერთი მოსწავლე აბსოლუტურად უცოდინარი მოდის. ჩვენი პედაგოგები ყველაფერს აკეთებენ მათ დასახმარებლად და ცოდნის ასამაღლებლად. ვცდილობთ, მოსწავლეებს შევუქმნათ კომფორტული და თბილი გარემო, რათა სწავლა მათთვის საინტერესო და სახალისო იყოს. გვეამაყება, რომ ჩვენი მომზადებულების უმეტესობა, უმაღლეს სასწავლებლებში 100%-იანი დაფინანსებით ირიცხებიან და წარჩინებული სტუდენტები არიან.

აბიტურიენტებთან გვაქვს მეგობრული დამოკიდებულება, მათ ვეხმარებით პროფესის შერჩევაშიც, ვაძლევთ რჩევებს. სასწავლებელს ჯერჯერობით ფილიალები არა აქვს, მაგრამ სამომავლოდ ვაპირებთ გაფართოებას.

„ოლიმპია“ იმით განსხვავდება სხვა ცენტრებისგან, რომ ფასები მშობლებისთვის მისაღებია. სწავლის გადასახადი ასევე, იცვლება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ან აბიტურიენტი ჯგუფური მეთოდით სწავლობს. ჩვენთან ჯგუფში, მაქსიმუმ 4 მოსწავლეა და არა 7 ან 10, რაც სწავლის ხარისხზეც დადებითად აისახება. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ცენტრი არ არის ორიენტირებული მხოლოდ მოგებაზე და მაქსიმალურად, ვითვალისწინებთ ადამიანურ და ყოფით ფაქტორებსაც.

მისასალმებელია, რომ არსებობს დაწესებულება, სადაც ხელმისაწვდომ ფასად შესაძლებელია საფუძვლიანი და ხარისხიანი ცოდნის მიღება. ამიტომაც არის, რომ **„ოლიმპია“** ლიდერია მოსამზადებელ ცენტრებს შორის.

ანანო სამელია

ლუიზა კერესელიძე – 60

მესამოცე მწვერვალიდან

დიდებული პედაგოგი, სიტყვამართალი და ტკბილმოუბარია იუბილარი **ლუიზა კერესელიძე** – სკოლა **„ივერიონის“** დაწყებითი კლასების მასწავლებელი. მის სულ ქართული ბუნების ორი ნიშან-თვისება ერკინება ურთიერთს – რომანტიკული შემართება და უსაზღვრო სიყვარული პოეზიისა.

უკან დარჩა ექვსი ათეული წელი – ემოციური ცხოვრებისა.

მესამოცე მწვერვალი... სწრაფვა ზევით-ზევით, რამეთუ გულისთქმა მისი ეძიებს „ზენაართ სამყოფს“.

ქალბატონ ლუიზას მამას **გიორგი თელიას** (ძეგვის მამათა მონასტრის წინამძღვრის) მადლიანი კურთხევაც როდი დააკლო განგების ძალამ.

ლუიზას სიახლოვეს მოსაწყენ, გულგრილ ურთიერთობას ვერ იგრძნობთ.

და ასე იძერწებოდა საოცარი რომანტიკით შემკული ქალთა საღამო. სიტყვა – სიტყვას ერკინებოდა, ლექსი – ლექსს.

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა“ და სამეგობროს „მედგას ულელი“, – გვესმის იუბილარის წრფელი სიტყვები. აი, რას მოგვითხრობენ საღამოს „ექსპრომტი ფურცლები“. სიტყვა – სიტყვას ენაცვლება, შთაბეჭდილება თავისას ღაღადებს...

– მადლობა ლამაზი საღამოს ჩუქებისათვის, „რასაცა გასცემ – შენია“ – **ირინე ბერიშვილი**.

– ჩემს ქვეყანაში მინდა ბევრი გაღიმებული ადამიანი ვნახო, – **მარიამ კუბლაშვილი.**

– მადლობა ამ ლამაზი, ისტორიული დღის ჩუქებისათვის – **ნუნუ ჭიღლაძე.**

– „როგორ გაირბინეს წლებმა...“ 60 წლის იუბილე, ენაწყლიანი თამადა, ლამაზი საღამოა... „მიყვარხართ ძლიერ, ძლიერ“ – **ირინე ხუჭუა.**

– თაყვანს ვცემ ქალს, მეგობარს, გულშემატკივარს, დარდისა თუ სიხარულის გამზიარებელს, დამრიგებელს, გულწრფელსა და პირდაპირ ადამიანს... მადლობა უფალს, რომ შემახვედრა განსაცდელის ჟამს ქალბატონი ლუიზა! – **ნანა ჭავჭანიძე.**

ჩვენი მეგობრობის 35-ე წელიც დამდგარა... ერთად მოვდივართ წლებია, ვარ ბედნიერი. – **ნაზი გაბაიძე.**

– „ჭირი და ლხინი განუყოფელია“, – დროა, „ვაჩუქოთ ერთმანეთს გულები!“ – **ნაზი დოლიძე.**

– უღრმესი მადლობა ასეთი სასიამოვნო და ლამაზი საღამოსათვის, საყვარელი ადამიანების შეკრებისათვის, მადლობა თამადას, **ლამარა ჯიშკარიანი.**

ნაზი აბაშიძე და **ლალი დვალი:** აღფრთოვანებას ვერ ვფარავთ ქართული სუფრის მადლითა და საიუბილეო სიხარულით. მადლობა რჩეულობისათვის!

ეკა მაჭავარიანი: ბედნიერი ვარ დღევანდელი დღისა. დღევანდელ დღეს სიყვარულის დღეს დავარქმევდი. მადლობა ჩემი შვილის მასწავლებელ **თინა ჩხეიძეს** სიხარულის მონიჭებისათვის.

რუსუდან მამაცაშვილი-კალანდაძისა (ქიმიკოსი): სკოლა „ივერიონში“ მოვხვდი აღმზრდელად. მადლობა ქალბატონ ლუიზას ამ ლამაზი შეკრებისა და სიამოვნებისათვის.

ქეთი და **ხათუნა სულთანიშვილები:** ისტორიული დღეა. „ამ დიდ სიხარულს ვერ იტევს გული!“

თამარ გიგაშვილი: მადლობა უფალს, საქართველოში რომ დავიბადე! „გვიყვარდეს ერთმანეთი მეტად, უფრო მეტად!“

ჩიტო კერესელიძე: – ბედნიერება და სიყვარული, უფლის წყალობა და მადლი არ მოკლებოდეს ჩემს დაიკო ლუიზას!

***

დარბაზში სიმშვიდემ დაივანა...

ქალბატონ ლუიზაზე საუბარი გვინდა დავასრულოთ მისსივე მადლიანი და ცეცხლოვანი სიტყვების ფონზე...

...მე თქვენს წინაშე ზღვასავით ვღელავ...“

უკეთ მადლიერების გამოხატვა ალბათ შეუძლებელიც იყო.

P. S. ექსპრომტ მილოცვებს იუბილისადმი სტილი არ შევუცვალე გარკვეული მოსაზრებით.

და ასე... იდგა ჟამი მესამოცე მწვერვალიდან უფრო ზეაღსვლისა.

თინა ჩხეიძე
სკოლა „ივერიონის“
მასწავლებელი

გასახარელ შედეგს გისურვებთ!

ინტერნეტ ტელევიზია ლაბაორატორია **ნიკო კეცხოველის პრემია** ყველაზე მასშტაბური სასკოლო, გარემოსდაცვითი კონკურსია. იგი 2014 წელს, „ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის“ (ADC) ფინანსური მხარდაჭერით დაარსდა. 4 წლის განმავლობაში მისი პარტნიორი იყო ასზე მეტი სახელმწიფო, კერძო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. აღნიშნულ გარემოსდაცვით პრემიაში მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ასზე მეტი საჯარო და კერძო სკოლა, ბავშვები გარემოსდაცვითი ღონისძიებების წარმართვაში დაგეგმვასა და განხორციელებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ნიკო კეცხოველის პრემია გრძელდება დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას ღებულობს სსიპ.ქალაქ თბილისის 31–ე საჯარო სკოლის ეკო კლუბი **„დრიადები“**. ამ კლუბმა ამ ეტაპისთვის ასზე მეტი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, მაგალითად როგორიცაა **კავკასიური სოჭის პოპულაცია,** ნიკო კეცხოველის სკვერის გაშენება და სხვა მრავალი. გუნდი აპირებს ნიკო კეცხოველის პრემიის ფარგლებში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობას და მიზნად აქვს დასახული საგრანტო კონკურსებში წარმატების მოპოვება.

ამ ეტაპისთვის გუნდი „ორბელიანი“ მონაწილეობს საქართველოს საგრანტო კონკურსში რომელიც მცირე გრანტების გაცემას და აქტივობების დაფინანსებას ითვალისწინებს. გუნდმა „ორბელიანი“ საქართველოს კონკურში გააგზავნა შვიდი საგრანტო წინადადება და ელოდება შედეგებს. ამ ეტაპისთვის გუნდს ჰყავს ორი ძირითადი პარტნიორი, გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები. მათ აღნიშნულ ორგანიზაციებთან ჯამში ოცი ფართომასშტაბიანი პროექტი ჩაინიშნეს, რომლის განხორციელებას პროექტის დასრულებამდე გეგმავენ. აი, ფართომასშტაბიან პროექტებში ვგულისხმობთ დასუფთავების აქციებს, მეწყერსაშიში ზონების გამწვანებას, საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს და სხვა მრავალს. გუნდი შედგება ხუთი წევრისაგან, რომლებიც დაუღალავად შრომობენ სასურველი შედეგის მისაღწევად. გუნდის წევრები არიან: **მარიამ დარისპანაშვილი, ანა ქუბრიაშვილი, ანი ჯობაძე** და **დავით ხელაძე,** გუნდის ხელმძღვანელია: **კალენიკე ურიდია.** გუნდი გეგმავს და მიზნად ისახავს ფართომასშტაბიანი და სასახელო პროექტის მოგებას, როგორციაა ნიკო კეცხოველის პრემია.

ირმა მეგონია

ამ სიხარულს ნეტავ რა სჯობს?!

პროფესიული დღე 63-ე სკოლაში

მასწავლებელთა დღეს მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ. მათ რიცხვშია საქართველოც.

აღმაშენებლის გამზირს მივუყვები. პასტერის ქუჩის კუთხეში უფროსკლასელები შეკრებილან, ხელში ვარდებითა და მისალოცი ბარათებით.მათთან შევჩერდი,გამოველაპარაკე. 63-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები აღმოჩნდნენ. მითხრეს, ძალიან გვინდა, ჩვენს პედაგოგებს დღევანდელი დღე მივულოცოთო. ახალგაზრდები თვლიან, რომ ამით ეძლევათ საშუალება, მადლობა უთხრან იმ ადამიანებს, რომლებიც გამუდმებით იჩენენ მათ მიმართ სითბოსა და სიყვარულს. მომეწონა მათი სიტყვები, თან გავყევი. პირველი გაკვეთილის დაწყებამდე ჯერ ადრეა, ამიტომ სკოლაც შემოვიარე. ცენტრალური შესასვლელიდან (ეს **დ.უზნაძის** 109 ნომერია) ყველაფერი კრიალებს, მზის

სხივები ალმაცერად კვეთენ ახლად გარემონტებულ დერეფნებსა და საკლასო ოთახებს... რა ლამაზი კუთხე მოუწყვიათ! სხვადასხვა ფერის ყვავილები თავს იწონებენ. გარედან შენობა დიდი არ ჩანს, შიგნიდან კი ორი კორპუსია. ცალკე სართულზე დაწყებითი კლასებია განთავსებული... დავიბნეოდი, მაგრამ მეგზურებად ჩემი ნაცნობები მყავს (**სალომე ბუაძე, მიშიკო ფხალაძე, ქრისტინე ახობაძე, ლიზი უზნაძე, ბარბარე ჯანჯალაშვილი, ანანო გაგნიძე, საბა სვანაძე, ნინი აზიკური, გიორგი ბოლოთაშვილი, ნიკა ისოიანი...**). მეოთხე სართულზე ავდივართ. გაწკრიალებული საკლასო ოთახი, კოხტად დაწყობილი მაგიდები და სკამები, მორიგე დაფას წმენდს. ბავშვებმა მისალოცი ბარათების შევსება დაიწყეს. კლასის დამრიგებლისთვის განსხვავებული შეურჩევიათ... განსაკუთრებულია, კამათობენ კიდეც, ყველას უნდა ,საკუთარი ხელით გააკეთოს ჩანაწერი, ჩანართმა ფურცელმა კი ყველა ვერ დაიტია: "JUST FOR YOU!" – აწერია გარედან ბარათს, შიგნით კი-:„ყველაზე დიდი ბედნიერებაა თქვენნაირი დამრიგებლის ყოლა. მიყვარხართ!"; "მანანა მას, გილოცავთ, უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მიყვარხართ!" **მანანა ოზაშვილი** ფილოლოგია, ამით მიანიშნეს, რა კარგად სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას). ძალზე შთამბეჭდავია სკოლის დირექტორისადმი (ქალბატონი **ნანა მონიავა**) მომზადებული ტექსტიც: „გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს! გვინდა იცოდეთ, რომ გვიყვარხართ და გაფასებთ. გვიხარია, რომ თქვენთან ერთად მოგვიწევს ორი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი წლის გატარება სკოლაში, რომელშიც სწავლა ძალიან გვიხარია!"

საკლასო ოთახის ერთ-ერთ კედელზე უზარმაზარი ფოტოა, საიდანაც ბავშვები მხიარული სახეებით შემომცქერიან. ზოგი ზის, ზოგი დგას, ყველას კი ხელში გადაშლილი წიგნი უკავია: „ქართული ენა და ლიტერატურა-10". ეს კლასის დამრიგებლისადმი მიძღვნილი ადრინდელი საჩუქარია. მართალია, ზოგს წიგნი გადმობრუნებული უჭირავს, ზოგიც მხოლოდ ცალი თვალით კითხულობს, მაგრამ ყველანი ძალიან

საყვარლები არიან. მიყვებიან, როგორ ჩამოუგორდა ცრემლი სახეზე მანანა მასწავლებელს, როცა ეს ფოტო გააკრეს. სასწავლო წელი სულ ახლახან დაიწყო, ბავშვებს კი უკვე მოუსწრიათ მთაწმინდის პანთეონის მონახულება. იქ ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების საფლავებზე თითო -თითო ვარდი დავაწყვეთ, ლამაზი სიტყვებიც ვთქვით და უკან შთაბეჭდილებით აღსავსენი დავბრუნდითო, მითხრეს.

მერე იმაზეც მელაპარაკნენ, როგორ ჩაატარეს თვითმმართველობის არჩევნები კლასში,ყველა წესის დაცვით. კანდიდატთა პროგრამების განხილვითა და ხმის დამთვლელი კომისიის წევრებით... ერთმანეთზეც თქვეს რამდენიმე სიტყვა: კლასში სამი მედლის კანდიდატია – **ბარბარე, სალომე, ლიზი...** ერთი მომავალი მსოფლიო ჩემპიონი. **გიგი გუგუნაშვილი, ლუკა კაკაბაძე** ანსამბლ **"მართვეში"** მღერის, **ბაჩანა**

კარგად ცეკვავს, **საბა დიასამიძე** ძალიან ბევრ კითხვას სვამს... **ნინუ კერესელიძესთან** სახლში ყოფნა კი ყველას უხარია, აქ ხშირად იკრიბებია, დასვენების დღეებში და მის დედასთანაც მეგობრობენ...

მიხარია ამ ბავშვებთან ყოფნა, მაგრამ დრო აღარ ითმენს... გაკვეთილის დაწყებას წუთებიღა აკლია, ვემშვიდობები უფროსკლასელებს (**ანას, თენგიზს, ელშანს, მარიამს, ნუკის, დავითს**...) და კიბეზე სწრაფად ვეშვები. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლაში უცხო პირი არ უნდა იმყოფებოდეს.... მეორე გასასვლელიდან გავდივარ. სკოლის დათვალიერებას კი კვლავ ვაგრძელებ: აქ ბევრი წრე მუშობს, **ჰიპ-ჰოპიო, ქართული ცეკვაო, ჭადრაკი, უცხოური ენები, ხატვა, გახანგრძლივებული დღის ჯგუფიც** ჰქონიათ...ერთი სიტყვით, ყველა პირობაა შექმნილი სწავლებისა და აღზრდისათვის... საკლასო ოთახები უკვე ბავშვებითაა სავსე. მანდატურები დერეფნებში მოძრაობენ... გახარებული ვტოვებ სკოლას. მოვდივარ იმ გრძნობით, რომ ქალაქ თბილისის 63-ე საჯარო სკოლაში ბავშვებს მოსვლა მართლაც უხარიათ, აქ ერთმანეთი უყვართ, პატივს სცემენ, სიურპრიზების გაკეთებაც კარგად გამოსდით... რას იზამთ?! ყველა მილოცვის თავისებურ ფორმას ირჩევს... მე კი მეთერთმეტეკლასელების მიერ შერჩეული ვარიანტი მომეწონა. წარმოვიდგინე მასწავლებელთა გაღიმებული სახეები და ჩემი პედაგოგები გამახსენდა. მეც მათთან ერთად გიხდით მადლობას ყველა მასწავლებელს(**თინიკოს, დავითს, ზაზას, ნატოს,ქეთევანს, გიორგის, ბადრის, ნანას, ნინოსა და მარინას, ლიას** და კიდევ ბევრ სხვას) სიყვარულისა და სიკეთისათვის, იმ მძიმე შრომისათვის, რომელსაც ეწევით და რომელსაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია.

ანანო სამელია

ენციკლოპედიური ჟურნალი



გამოვიდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის საზოგადოებრივ-მხატვრული ჟურნალ **„ათინათის"** ამა წლის მესამე ნომერი. აიღებ, წაიკითხავ და არ იცი, რა რას ამჯობინო – აზრი ფორმას თუ შინაარსი – მხატვრულ დონეს.

გარდა პოლიტიკისა, იგი ცხოვრების ყველა სფეროს უმაღლეს ხარისხში აშუქებს. მეტად პოპულარულია, მაგრამ მაინც უნდა გავუსვათ ხაზი მის ენციკლოპედიურ ხასიათს.

მოკლე ანოტაციაში ყოველმხრივ ვერ მიმოვიხილავთ ნომერს – ყველა მეცნიერული სტატია თუ მხატვრული ნაწარმოები ზედაპირულადაც რომ ჩამოვთვალოთ, გაზეთის მთელი გვერდიც ვერ დაიტევს. ყველა მკითხველი იპოვის აქ სულიერ, შემეცნებით, ესთეტიკურ-მორალურ საზრდოს, დატკბება ხელოვნების ქმნილებებით, პოეტთა და პროზაიკოსთა ცინცხალი შემოქმედებით. მადლობა მთავარ-რედაქტორს, ცნობილ ჟურნალისტს, ნატიფი გემოვნების პოეტ **გულნაზ ხარაიშვილს** და მასთან ერთად **„ათინათის"** მთელ შემოქმედებით შემადგენლობას. **„ათინათი"** მეტად საჭიროა თქვენთვის, სიკეთეს მოგიტანთ, ცოდნას გაგიმდიდრებთ.

ვის? ვის და ყველას: ბავშვებს, მოსწავლეს, სტუდენტს, მეცნიერს, ხელოვანს, მხატვრული სიტყვის ოსტატსაც კი.

იკითხეთ **„ათინათი"**, გიყვარდეთ **„ათინათი"** მეტად, სხვაზე მეტად!

P.S. მკითხველის მადლობა

რედაქტორთან ერთად დიდი მადლობა ჟურნალის პასუხისმგებელ მდივანს **რეზო ადამიას,** აკადემიის სწავლულ მდივანს, პროფ. **გიორგი ბეჟიტაშვილს,** განყოფილებათა რედაქტორებს; რელიგიისა – მამა **ამირან ამირანაშვილს,** საერთაშორისო ურთიერთობათა – **ვანო შუშტაკაშვილს, ალადინ გარაბაგლის,** ისტორიისა – აკადემიკოს **როინ მეტრეველს,** მხატვრული და ხელოვნებისა. – **სერგი ლომაძეს, კახა ბაციკაძეს, გელა ლარიაშვილს, ნიკო ხერკელაძეს,** საბავშვოსი – **ლამარა გერგედავას,** ეკონომიკისა – **ვალერი მოსიაშვილს,** რედკოლეგიის წევრებს: **ბრუნო თრიბურგს** (საფრანგეთი). **იური მამედოვს** (აზერბაიჯანი). **ილია ჭავჭავაძის** ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარ სპეციალისტ **მარინე სხირტლაძეს,** პოეტ **ლამზირა შეყილაძეს,** კომპიუტერული მომსახურების სპეციალისტებს: **ნანა** და **თამარ სხირტლაძეებს.**

მადლობა ჟურნალის მაღალ პოლიგრაფიულ-მხატვრულ დონეზე გამოცემისათვის, – ყველას, ვინც ცდილობს, მხარში ამოუდგეს **„ათინათს"** და ერთი აგური მაინც დადოს იმისთვის, რომ **„ათინათი"** უფრო გაბრწყინდეს.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 26 მაისის ნომერში შეცდომით **მანანა ზაზიკაშვილის** ლექსი **„დაგჭირდება ილეთი"** მიეწერება პოეტ **ნაირა ნიჟარაძეს.**

შეცდომისთვის რედაქცია ბოდიშს იხდის.

საბავშვო ბაღი – სოფლის მშვენება

გაიხარეს ასურელებმა

ასურეთი ერთ-ერთი უმშვენიერესი, უძველესი ისტორიული სოფელია თეთრიწყაროს რაიონში თავისი მომხიბლავი ბუნებით, სტუმართმოყვარე, შრომისმოყვარე მოსახლეობით. როგორ გაიხარეს

მათ შარშან, როცა კეთილმოწყობილი ბაღი გაიხსნა ცეროდენებისათვის. მანამდე შეგუებულ შენობაში „წვალობდნენ“ პატარები.

სკოლის დაღმართს ოდნავ რომ ჩამოუყვებით, თვალწარმტაცი

შენობა მზესავით შემოგანათებთ. კოხტა ეზო გაჯერებულია საქანელით, სასრიალოთი, სხვა სათამაშოებით. შიგნით შეხვალთ და მოიხიბლებით. მყის მოგაგონდებათ შოთას სტრიქონები: „რა გიამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა“...

– ჩვენი კოლექტივისა და მთელი სოფლის სახელით დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს საჩუქარი მოგვიმზადა, კერძოდ, **თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტს,** – ამბობს გამოცდილი, ერუდირებული ბავშვებზე შეყვარებული დირექტორი, **თინა აღდგომელაშვილი.** თაკო ასურეთის სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილია. პედაგოგიური ფსიქოლოგიის ჩინებული სპეციალისტი, თავად ორი შვილის აღმზრდელი დედა. უყვართ თანამშრომლებს იმიტომ, რომ თავადაც უყვარს ისინი, აფასებს მათ შრომას. ბავშვებსაც უყვართ, მშობლებსაც, მათ შორის ჰარმონიული თანამშრომლობა სუფევს. მშობლებთან შესანიშნავად არის აწყობილი ურთიერთობა.

ვაგრძელებთ საუბარს დირექტორთან:

– სოფელ ასურეთს მრავალი წლის მანძილზე არ ჰქონდა საბავშვო ბაღი და ფუნქციონირება უნევდა ნაქირავებ სხვადასხვა სახლში.

2018 წლის 30მარტს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი საბავშო ბაღი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და გათვლილია 70 აღსაზრდელზე, რისთვისაც მადლობას ვუხდი ჩვენს მუნიციპალიტეტს და თითოეულ იმ ადამიანს, ვინც მხარში დაგვიდგა. ამჟამად ბაღში გვყავს 58 ბავშვი. ჩვენ ვემსახურებით, არამარტო **ასურეთის,** არამედ **ენაგეთისა** და **შავსაყდრის** პატარებსაც.

ჩვენი ბაღიდან წელს სკოლაში წავიდა 16 მოსწავლე, ახლა კი სკოლისათვის ვამზადებთ 15 აღსაზრდელს, რომლებიც გადიან **სასკოლო მზაობის პროგრამას.**

გარდა სასკოლო ჯგუფისა, ჩვენ გვყავს კიდევ ორი 3-4 წლიანების და 4-5 წლიანების ჯგუფი.

ბაღში გვაქვს სამჯერადი კვება წახემსებით და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

– გამოცდილი თანამშრომლები ერთგულად მიდგანან მხარში. კმაყოფილი ვარ მათი მუშაობით.

4-5 წლიანთა ჯგუფის ცეროდენებზე ბევრს ზრუნავენ გამოცდილი აღმზრდელი **თამარ აფციაური** და თანაშემწე **რუსუდან ლებანიძე;** 4-5 წლიანებში პატარებს დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ **თამარ ჯიჯელავა** და **ეთერ ბაიდარაშვლი,** 3-4 წლიანებში – **ნანა ახალმოსულიშვილი** და **ნათია მეტრეველი.**

პატარებს გრძნობას უფაქიზებს და ხელოვნებას აყვარებს მუსიკის პედაგოგი **ინგა მუმლაძე.** გამოცდილი ექთნის **ხათუნა გუგეშაშვილის** შიშით ბავშვებს ინფექცია ვერ ეკარება. კვება? უკეთესს ვერ ინატრებენ. დედის გაკეთებულ საჭმელებს ურჩევნიათ პაწიებს მზარეულ **ელისო იობაშვილის**, თანაშემწეების: **ირმა ბახტურიძისა** და დებიუტანტ **ელზა ციხელაშვილის** მომზადებული ყუათიანი, არომატული კერძები, აღმზრდელის თანაშემწე **გურანდა ჭელიძე** პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. კარგი მუშაობისთვის ქებას იმსახურებს დამლაგებელი **თამარ ჯაშიაშვილი.**

ეწყობა საინტერესო ღონისძიებები, ზეიმები, მეცადინეობები თამაშის თანხლებით. სხვა რა ვთქვათ? ჯანსაღი ბუნება და სუფთა ჰაერი ხომ არის და არის.

ბედნიერია ბავშვობა თქვენი, ასურეთელო ცეროდენებო.

უფრო გაძლიერებას და გაფართოებას გისურვებთ!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

მორის ფოცხიშვილი



ჩემს მასწავლებლებს

კვლავ თქვენი დღეა და მე ვიგონებ
თქვენი სულივით წმინდა
ყველა კახაბერს, ყველა დიდგორელს,
ყველას, ვინც დღემდე გვზრდიდა.
მწუხრში თქვენდარი შემწე ვინ ნახა,
გულს გვიცისკროვნებთ მზისებრ, –
მასწავლებლებო, მე თქვენ მიყვარხართ,
მასწავლებლებო, გისმენთ!
ვინ უნდა შეძლოს, რაც შენ შეძელი
ასე საქვეყნოდ, ერთხმად, –
უპირველესი მასწავლებელი,
ცოტნე ბატონო, შენ ხარ!
ერთმა აღზრდილმაც თუ გიღალატა,
ვიცი, სირცხვილით კრთები,
ჩვენო აღმზრდელო, ბავშვო პაატა,
რამ გაგითეთრა ფრთები?
არც რა ეშმა და არც რა განგება,
სისხლო, ცეცხლივით მწყრალო,
საქართველოსთვის თავის დადებას
ჩვენ ისევ შენგან ვსწავლობთ.
არც რა უღელი, არც რა გალია,
არც რა ღრუბელი მრუმე, –
რაც მისწავლია, მე მისწავლია
თქვენი ცხოვრებით თურმე.
მე უნდა გითხრათ ახლა მადლობა
და თქვენ გადიდოთ თრთოლვით, –
სინათლესავით შუბლზე გადნებათ
ფიქრად ქცეული თოვლი.
ნეტა უთქვენოდ შვება ვინ ნახა,
სულს გვიცისკროვნებთ მზისებრ, –
მასწავლებლებო, მე თქვენ მიყვარხართ,
მასწავლებლებო, გისმენთ!

ქცევა, რომელიც გვეჩოთირება

მეპროსპექტელებო!

„რუსთაველის პროსპექტზე სიარული
ნუ მომიშალოს ღმერთმა,
დე, ვიყო მუდამ ასე მხიარული!“
– ინატრა პოეტმა ერთმა.
ეს ახლა, მაშინ ლადოს დრო იყო.
დღეს სხვა ხალხია თაკო, ზალიკო...
არ კითხულობენ გრანელს, მალარმეს
აქ აკეთებენ რაღაც სხვა რამეს.
კაცს მოუშვია თმები ძალიან,
განა კაცია? უფრო ქალია.
ჯგროდ მიმოდიან გოგო-ბიჭები,
უჩანთ მუხლები, უჩანთ ჭიპები.
არ მოგწონს ტურფა მარი თუ ანა?
მაშ, გყვარებია მარიხუანა.
ოჯახი არა! არ გსურს ნასტია,
შენთან ახლოა პედერასტია.
თქვენ, მომავალო თაობავ, ჩემო,
კარგია დიდი ევროკავშირი,
მაგრამ იმ დიდსა ევროკავშირსა
გერჩიოთ ფოთი, ვაქირ – კვახჭირი!
აღარ აბოლოთ მარიხუანა,
აღარ გასინჯოთ ნარკო არცერთმა.
რუსთველის პროსპექტზე მარად სიარული
ნუ მოგიშალოთ მაღალმა ღმერთმა!

თქვენი სიკეთისმოსურნე
მოსე მწერალი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N12 (4571)
10 ოქტომბერი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009